№ 40 | 1877—1897 | № 40

ოთხშაბათი, 5 მარტი 1897 წ. | ოთხშაბათი, 5 მარტი 1897 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

**სამკერვალო და სკოლა**

ქართველთა ქალთა ამხანაგობისა მიიღებს კაბებს შესაკერად. საქმეს აასრულებს დროზედ, რიგიანად და არა ძვირად. ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3, კონკის სადგურის პირდაპირ.

(3—1)

ამით გაცხადებთ ქუთაისის გუბერნიის მევენახეთა საყურადღებოდ,

რომელთაც საქარის სანერგეს შემოუკვეთეს ამერიკის ვაზის ნერგები ამა წლის გაზაფხულისათვის, რომ ამ ნერგების წაღება შეიძლება მხოლოდ 20 მარტამდე. ვინც ამ ნერგებს არ წაიღებს ზემოდ აღნიშნულ ვადამდე, მერე ვეღარ მოითხოვენ.

საქარის სანერგეს გამგე ვ. სტაროსელსკი.

(1—6—1)

ტფილისი, 4 მარტი.

„კვალი“-ს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ღია წერილი „ჯეჯილი“-ს რედაქტორ-გამომცემლის, ან. თუმანიშვილ-წერეთლისა მოსკოვის სტუდენტების მიმართ. ამ წერილით ქ-ნი წერეთლისა მადლობასა სწირავს მოსკოვის ქართველს სტუდენტებს დახმარებისათვის. ხოლო ამ წერილში ერთი ადგილია ისეთი, რომელიც თვისდა უნებურად ყოველს გონიერს ქართველს გულში მოჰხვდება და ბევრს მწარე და უიმედო ფიქრს აუშლის.

„ხელის-მომწერნი ისე მცირენი არიან, რომ ჟურნალის „ჯეჯილი“-ს არსებობა განსაცდელშიაო“, ამბობს ქ-ნი წერეთლისა თავისის ღია წერილის დასასრულს.

ნუ თუ შესაძლებელიაო, უნებურად აფიქრებინებს ეს სიტყვა ადამიანს, რომ ქართლსა, კახეთსა, გურია-სამეგრელოსა, ამერ და იმერ ამ ერთად-ერთს საყმაწვილო ქართულს ჟურნალს იმდენი გასავალი, იმდენი ხელის-მომწერი არა ჰყავდეს, რომ მისი არსებობა განსაცდელში არ იყოს? ამ ჟურნალს ხომ საგნადა აქვს ყმაწვილის გონებას შესაფერი, ადვილად საკითხავი და გონიერი სულიერი საზრდო მიაწოდოს და მაშ რაღასა კითხულობს ჩვენი მოზარდი თაობაო?!

აქ ორი საკითხი იბადება: ან თვით „ჯეჯილი“ არ ვარგა იმდენად, რომ მშობლებს მისი დაკვეთა, მისი დაბარება თვისთა შვილთათვის მავნებლად მიაჩნიათ, რაც ყოვლად დაუჯერებელია, რადგან სუსტიც რომ იყოს იგი, ბევრი ნაკლიც რომ ჰქონდეს, თუ არ სარგებლობას, ვნებას ვერ მოიტანს; ან თვით საზოგადოება არა ჰგრძნობს იმისს საჭიროებას, არა ჰხედავს იმისს სარგებლობას, მოთხოვნილება არა აქვს ასეთის ჟურნალისა. ეს მეორე აზრი უფრო ჭკუასთან ახლოა და სარწმუნო იმისათვის, ვინც ჩვენს ხალხს იცნობს.

სამწუხაროდ, ქართველი ბავშვი, აიღვამს თუ არა იგი ფეხს, მოკლებულია ოჯახის მზრუნველს აღზრდასა და წვრთნას. დედ-მამა იმისათვის უფრო დიდს ზრუნვას იჩენს, რომ ბავშვმა წესიერად დაიცვალოს კბილებიო, ვიდრე იმისათვის, რომ იმისს ნორჩს, ჯერ ხელ-უხლებელს, ყველაფრის ადვილად შემთვისებელს გონებას ჯეროვანი საზრდო მიაწოდოს და ადრევე მოამზადოს იგი სასწავლებლისათვის, გონებისა და სხეულის თანაბრად ერთმანეთის და უჩაგვრელად განვითარებას ხელი შეუწყოს.

კიდეც ეს ნაკლი ჩვენის ოჯახისა არის მიზეზი, რომ ქართველი ბავშვი სასწავლებლის კარებს სრულიად განუვითარებელი მიადგება ხოლმე და ამ მხრივ დიდად ჩამორჩენილია სხვა ეროვნების ყმაწვილებს. იგი აქ იჩაგრება, რადგან უვიცია, გონება-გაულესავი, სასწავლო საგნები სხვებსავით ადვილად ვეღარ შეუთვისებია, იმის გონების განვითარება მოკლებულია იმ თანდათანობას, რომელიც პედაგოგიის უპირველეს მცნებად არის აღიარებული, იმის სულიერად წარმატების საქმეს არა აქვს დადებული ის მტკიცე საფუძველი, რომელზედაც უნდა აღიგოს კარგად ნასწავლი და შეგნებული მამულიშვილი.

ეს საფუძველი, ეს სალესავი ნორჩის გონებისა, ეს ჭოჭინა ახალმოზარდის სულიერად განვითარებისა საყმაწვილო ლიტერატურაა, რომელსაც ყოველი განათლებული ერი დიდად სათუთად ინახავს და დიდს პატივსა და ფასსა სდებს. ძნელად წარმოსადგენია ევროპაში ისეთი ოჯახი, თვით უუმდაბიოესიც-კი, სადაც ყმაწვილის ფეხი ტრიალებს,—რომ მთელი წიგნთ-საცავი არ იყოს საყმაწვილო ლიტერატურისა, რამდენიმე საყმაწვილო ჟურნალი არა ჰქონდეს დაბარებული. ევროპიელი თითონ დაიგლეჯს და ყმაწვილს-კი გამოუწერს პაწია სურათებიან ჟურნალს, აფასებს რა ამ ჟურნალის დიდს მნიშვნელობასა და სარგებლობას.

ჩვენში? აი, ხომ ჰხედავთ, „ჯეჯილის“-ს დღეები დათვლილია, იგიც მოისპობა და ჩვენს ბავშვებს ერთად-ერთი სულიერი საზრდო მოაკლდებათ. ეს ამბავი იმდენად სამწუხაროა, იმდენად გულ-მოსაკლავი, რომ არ შეიძლება ყოველს გონიერს ქართველს უსიამოვნოდ არ გაემსჭვალოს გონებაში აზრი ჩვენის მერმისის უნუგეშობისა და უიმედობისა, რადგან ერთის გამოჩენილ პედაგოგისა არ იყოს, მოზარდი თაობა თავისის ერის სულიერი შვილი არ არის იქ, სადაც საყმაწვილო ლიტერატურა არ მოიპოვება და ახალნორჩი ამ ლიტერატურაზედ არ იზრდება.

რა უნდა ეშველოს ამ საქმესაო? იკითხავთ. თუ მიზეზი თვით „ჯეჯილი“-ს უვარგისობაა, ამას კიდევ გზა შველისა ისე ძნელი არა აქვს და მალამო მოეძებნება, მაგრამ თუ ამ სამწუხარო გარემოების მიზეზი უფრო ღრმად იმარხება, თუ საზოგადოება არა ჰგრძნობს ამ ჟურნალის საჭიროებას, მაშინ-კი საქმეს ისე ადვილად ვერ მოევლება და ჩვენის საზოგადოების ამ მხრივის გულ-გრილობის მოსპობა დროთა მსვლელობას უნდა მიეჩემოს.

ვიმეორებთ, აქ იმდენად „ჯეჯილი“-ს რედაქციას არ ედება ამ მიზეზის ბრალი, რამდენადაც ქართველს მშობლებს, რომელთაც სავსებით არა აქვთ შეგნებული და გათვალისწინებული სარგებლობა საყმაწვილო ლიტერატურისა და ამის გამო სრულიად არა ჰზრუნავენ ახალ მოზარდის გონების განვითარებისათვის.

ფარნაოზი

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 5 მარტს, იწყებს მოქმედებას ახალი საზოგადოება „შუამავალი“-სა. ამ დილით, 9 საათზედ, კურთხევა იქნება ამ საზოგადოების მაღაზიისა, რომელიც იმართება იარმუკაზედ, „სამხრეთის სასტუმროს“ პირდაპირ.

*** ვერის წმიდა ნიკოლოოზის ეკკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი სოლომონ ელიოზიშვილი, აცხადებს, რომ, მთავრობის ნებართვით, მისდამი რწმუნებულ ეკკლესიასთან იმართება ვაჟებისათვის საკვირაო სკოლა კვირას, მარტის ცხრას. სწავლა და სასწავლო ნივთები უფასოა. სკოლაში ასწავლიან შემდეგ საგნებს: სალმრთო სჯულს, რუსულს წერა-კითხვას, ქართულს ენას, ანგარიშს, სამშობლო გეოგრაფიას, ისტორიას და გალობას.

*** საზაფხულო თეატრი, რომელსაც წინად „პუშკინის ბაღი ეწოდებოდა, ა. თუთაევისაგან იჯარით აუღია გ. აროუთინოვს, რომელსაც განზრახვა აქვს თურმე ამ ზაფხულისათვის რუსული საოპერეტო დასი მოაწყოს.

*** ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა ასე გაანაწილა შრომა ქალაქის საბჭოს ექიმთა შორის: ტფილისის 1 ნაწილისა და ვერის და წყნეთის სასწავლებლების ზედამხედველად დანიშნულ იქმნა ექიმი-ქალი ოსეფოვისა; 2 ნაწილი და მამადავითის სასწავლებელი ჩაჰბარდა ექიმს ვ. არწრუნს; 3 ნაწილი, იარ-

# ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

გცხვენოდეს ადამიანო,
გული რად გაგტეხიაო,
პაწია ჭია ობობაც
მხნეობით გჯობნებიაო:
ობობას ქსელი მტრის ხელსა
მრავალჯერ უწყვეტნიაო,
მაგრამ ობობას თავის ჩლა
ხელ-ახლად უქსელნიაო.

დ. მაჩხანელი.

**„მრცხვენიან, რომ მოვტყუვდი!“**

...მე ის მიყვარდა...

— მიყვარდა იმდენად, რამდენადაც შეუძლიან სიყვარული თვრამეტის წლის ქალს ახალგაზდა, ლამაზის და სიცოცხლით სავსე ჭაბუკისა!..

— მთელი ქვეყანა სამოთხედ მეჩვენებოდა, გული სანეტაროდ მიცემდა და მთელს სხეულში სასიამოვნო ჟრჟოლა, თრთოლვა მებნეოდა, იმისს სიცოცხლით სავსე თვალებს რომ დავინახავდი ხოლმე... მერე რა გრძნობით, სიყვარულით მომაშტერდებოდა!.. სააქაო მავიწყდებოდა და ნეტარებით დამთვრალი დავცურავდი ჰაერში, სამოთხის წალკოტში! არც საკვირველია. იმის თვალებში პატიოსნებისა და გონიერების მეტი არა იხატებოდა რა... მაღალს, რგვალს შუბლს გვირგვინივით დაჰკონებოდა წაბლის ფერი, ხუჭუჭი თმა, რომელიც კულულ-კულულად ქცეული ეამბორებოდა ცოტა მოგრძო, მოღერებულს კისერსა...

— ის მეოთხე კურსზედ იყო... ზაფხულში შემხვდა თ—ში. ჩვენ გაცნობისათანავე დავუმეგობრდით ერთმანეთსა. ყოველ დღე ერთად ვსეირნობდით, ვბაასობდით და ყურადღებას არ ვაქცევდით ჭორებს, რომელიც სენსავით შეჰკედლებია თ—ებს. მერე რა გრძნობით და გატაცებით იცოდა ლაპარაკი! ყოველი უსინიდისო საქმე და ქცევა თითქო ლახვრად ესობოდა მის პატიოსნებით აღსავსე გულსა! იგი ამ დროს გამძვინვარებულს ვეფხვს ემსგავსებოდა: ხელებს იმტვრევდა, სახე ელუშებოდა და კიცხვა-კრულვა, უკმაყოფილება ელვა-ქუხილსავით აღმოჰქროდა მისის პირიდგან!.. ოჰ! როგორ მიყვარდა იგი ამ დროს! მეც სუყველაფერს ვივიწყებდი და მოჯადოებულსავით შევსცქეროდი იმისს ლამაზს სახეს... მაგრამ უკეთესი იყო ხოლმე, როცა სასიამოვნოს რამეს გაიგებდა: სახე ულიმოდა, თვალებში წყალი მოსდიოდე, სიხარულისაგან თითქმის ტიროდა!.. ძალიან მგრძნობიერი იყო! მერე ამ თავისს სიხარულს და უკმაყოფილებას პირველად მე მიზიარებდა, რაც, რასაკვირველია, მესიამოვნებოდა და მით უფრო ძლიერდებოდა ჩვენს შორის დამოკიდებულება და კავშირი. მე ამას კარგადა ვგრძნობდი, მაგრამ შორს-კი არ გავურბოდი.. მიხაროდა კიდეც, რომ ვპოვე ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლიან გაიგოს ჩემი და მე კიდევ მისი... ვატყობდი, იმას ჩემზედ ნაკლებ არ ესიამოვნებოდა ჩვენი ერთად ყოფნა, ბაასი და ეს უფრო მახალისებდა და მახარებდა... ჩემს სიცოცხლეში იმისთანა ნეტარება აღარ მინახავს და ვეღარც ვნახავ. ის ერთი ზაფხული ჩემს სადა ცხოვრებაში ობოლი მარგალიტია!..

იგი ყოველთვის გატაცებული მებაასებოდა, მიზიარებდა თავის მომავალს იმედებს, ბრძოლას დავრდომილთა დასაცველად... მეც სიამოვნებით ვუყურებდი ქვეყანას და მისი ყოველი სიტყვა, აზრი, უტყუარ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა... თვითონ იგი —გმირად...

წარმოდგენილი მქონდა, რომ იგი მომავალში იქნებოდა საზოგადოების ერთი სასიქადულო წევრთაგანი, რომ იგი იქნებოდა ნამდვილი მუშაკი საზოგადოების კეთილ-დღეობისა... თითქმის ფერადის წამლებით დავიხატე თვალ-წინ ის სურათი, როდესაც იგი დატრიალდება თავისს მამულში, საზოგადოებას ფიანდაზად გაეშლებამეთქი, ხალხს გამოაღვიძებს, და ვინ იცის, კიდევ რას არ ვისურათებდი თვალ-წინ ღამ-ღამე, უძილობის დროს, რომელიც ამ ბოლო დროს შემომეჩვია...

—

— მე ის მიყვარს-მეთქი!.. წამოვიძახე ერთს დილას და მართლა მიყვარდა იგი განუსაზღვრელად, მიყვარდა თავდავიწყებით!.. რა სიამოვნებით მიცემდა გული შეხვედრის დროს... ვსტკბებოდი იმისის ცქერით, მასთან ბაასით... მაგრამ მაინც თავს ვიმაგრებდი იმის წინაშე და ისე ვექცეოდი, როგორც მხოლოდ მეგობარი, თანამოაზრე მისი; კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ იგი უკმაყოფილო იყო ჩემი, რაიც აშკარად ემჩნეოდა იმისს სახეს: ყოველს ჩემს მეგობრულს, უბრალო სიტყვაზედ იგი ღელვდებოდა და ჯავრისაგან ქვემოთა ტუჩს იკვნეტავდა... იმას უფრო ბევრი უნდოდა... არ აკმაყოფილებდა ჩემი მარტო მეგობრული თანაგრძნობა... ზოგჯერ გატაცებული ალერსით დამიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ მე ლაპარაკის საგანს ვცვლიდი და ან ისე ვუხვდებოდა იმისს ალერსს, როგორც მეგობარი, და, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ იმასაც ვუყვარდი, მაგრამ არა... დეე, ისევ მოვითმენ, მაგანაც მოითმინოსმეთქი, ვამბობდი.. ჯერ კიდევ სწავლობს და ხომ დავუშლი... ასე ვფიქრობდი, თუმცა გრძნობა სულ სხვანაირად ჰქდეროდა... მაგრამ ჩემი სჯა და გარდაწყვეტილება სულ

მუკა და თათრის მოედანი—გ. გედალინს; 4 და 5 ნაწილი, სახელოსნო, დედათა და სოლოლაკის სამოქალაქო სასწავლებლები—კ. გონიევს; 6 ნაწილი და ხარფუხის განყოფილება სამკურნალოსი—გ. ტერ-ასატუროვს; 7 ნაწილი, ავლაბრის განყოფილება სამკურნალოსი და ორი სასწავლებელი—გ. გულულიანცს და მ. შავერდოვს. გულულიანცსავე ჩაჰბარდა ზედამხედველობა საყმაწვილო სამკურნალოსი, სარგარიანცის მაგიერად, რომელმაც ამისი უარი განაცხადა. 8 ნაწილი და ჩუღურეთის სასწავლებელი—გ. თარხანოვს; 9 ნაწილი და კუკიის სასწავლებელი—მ. გედევანიშვილს; ხოლო 10 ნაწილი და მეორე სასწავლებელი კუკიისა—ნ. ყასუმოვს.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ ტფილისში განთავისუფლდა ნოტარიუსის ადგილი და ვისაც ამ თანამდებობის მიღება ჰსურს, თხოვნა უნდა წარადგინოს ამ წლის 5 აპრილამდე, ხოლო 5 აპრილს, 12 საათზედ, თვით მთხოვნელნი იქმნებიან გამოცხადებულნი.

⁂ ჩვენ მივიღეთ ბ-ნ იოსებ ზემბას ეკონომიური წერილი „სად არის შველა?“, თარგმნილი ვ. მასხულიას მიერ და ქუთაისს დაბეჭდილია. ეს წიგნაკი ჰღირს 5 კაპ.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიჰმართა საშუალო სასწავლებლების დირექტორებს და მოსთხოვა გამომიგზავნეთ ცნობები შესახებ ეგზამენებისა, რომელიც შემოღებულ იქმნა 1891 წლიდგან. ამ დრომდე კავკასიის ოლქის ყველა სასწავლებლებში ერთის კლასიდგან მეორეში მოსწავლენი უეგზამენოდ გადაჰყავდათ. რაც შეეხება ეგზამენებს, ბევრი წინააღმდეგია ამისა, რადგანაც ეგზამენის დროს მოსწავლეები ძლიერ ბევრს ჰმეცადინობენ და ეს ჯანმრთელობისთვის ძლიერ მავნებელი არისო. მაგრამ ეგზამენები იმით არის კარგი, რომ მოსწავლე წლის გასულს გაიმეორებს და გაიკვეთავს ყველა იმას, რაც წლის განმავლობაში უსწავლიათ. საშუალო სასწავლებლების მასწავლებლები იმ აზრისანი არიან, რომ საჭიროა ეგზამენები უფროსს კლასში მაინც იყოს, რადგანაც ხშირად უეგზამენობის გამო ისეთი მოსწავლე რჩება ერთსა და იმავე კლასში, რომელიც, ეგზამენი რომ იყოს, ადვილად შეიძლებს მთელის ზაფხულის განმავლობაში მოემზადოს შემდეგი კლასისათვისაო.

⁂ ქალაქის ხმოსანმა შაჰაზიზოვმა ქალაქის საბჭოს მოხსენება წარუდგინა და ამბობს: კარგი იქმნება, რომ იარმუკა მუხრანიანთ ხიდთან გადავიტანოთ და იმ ადგილას, სადაც ეხლა ბორანია, რკინის ხიდი გავაკეთოთ, შემდეგ ცხენის რკინის გზა გავიყვანოთ რიყიდგან ერევნის მოედნამდეო. შაჰაზიზოვის გამოანგარიშებით, ქალაქს ამისათვის მხოლოდ 200,000 მანეთი დასჭირდებაო.

⁂ ქუთაისი. თითქმის ორი წელიწადია, ქუთაისელებს თუმცა ქართული წირვა-ლოცვა გვაქვს, მაგრამ მოკლებულნი ვართ ქართულს გალობას; მხოლოდ საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლე ქალთა გუნდი ხანდისხან თავისის მშვენიერი მწყობრის ოთხ ხმაზედ დაყენებულ ა. ბენაშვილის გალობით გვატკბობს ხოლმე. დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც მგალობელნი ქალნი, ეგრეთვე მმართველობა სასწავლებლისა.

⁂ ქ. სოხუმი. ვინ არ იცის, რომ სოხუმი მარტო თვისის მშვენიერის ჰავით და ედემისებურის დასურათ-ხატებულის ბუნებით არ არის მიმზიდველი! სოხუმი, ეს თვალი და მშვენება საქართველოსი, ძველთაგანვე განთქმული იყო იმით, რომ აქ მრავლად ეტანებოდა ხალხი ზღვაში საბანაოდ. ზღვაში ბანაობის სეზონი იწყება მაისიდგან და გასტანს ხოლმე მარიამობისთვის გასვლამდე. მსურველთ შეუძლიანთ მთელი შემოდგომა იბანონ ზღვაში, თვით ქრისტიშობისთვემდე, რადგან აქ თბილა და სიცივე ხელს არ უშლის მობანავეს.

უკანასკნელს ხანს ბევრნი მოდიან სოხუმში საბანებლად, გარნა უაბანოობის გამო დიდს გასაჭირში იყვნენ. არავინ გამოჩნდა სოხუმში ისეთი, რომ ერთი ასი თუმანი დაეხარჯა და რიგიანი აბანო გაეკეთებინა ზღვის ნაპირად და დახარჯული ფული ერთი-ორად აელო სულ მცირე ხნის განმავლობაში.

„რუსეთის საზოგადოების“ გემათვის ნავთ-სადგურის მაშენებელმა საჩინო იოსელიანმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, გამოიანგარიშა მთელი სარგებლობა აქ აბანოს დაარსებისა და შეუდგა კიდეც ამ შენობის კეთებას. აბანო შენდება სწორედ იქ, სადაც ეგრედ წოდებული „იოსელიანის ნავთ-სადგურია“. ბ-ნი ს. იოსელიანი აპირობს აბანო მთლად ევროპიულს გემოვნებაზედ ააშენოს. საჭირო ავეჯი, თუ სურათები აბანოს მოსართავად ოდესსიდგან დაიბარა. აბანოში მსურველთათვის იქნება როგორც თბილი, ისე ცივი აუზები. იოსელიანს იმედი აქვს, თავისი აბანო მომავალ აპრილის პირველ რიცხვებამდე დაამთავროს, ე. ი. სწორედ იმ დროსათვის, როცა აქ საბანაო სეზონი იწყება.

იგი ამასაც არ დასჯერდა და ის პატარა ადგილი, რომელიც ნავთ-სადგურსა და აბანოს წინ უდევს, ბაღად გადააქცია. ამ ბაღში მობანავეთ აბანოში შესვლამდე შეუძლიანთ ისეირნონ.

⁂ 2 მარტს, ღამის 12 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ, კერესელიძეს „ტრაქტირში“ კონსტანტინე იაშვილს და მიხეილ ცქიტიშვილს ჩხუბი მოუვიდათ და იაშვილმა ცქიტიშვილი ხანჯლით დასჭრა მხარსა და მარცხენა მკერდში. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. ჭრილობა საშიშია.

⁂ 2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ვაჭარის ვილველიანცის შვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა დუშეთის მცხოვრები ნ. ციკანაშვილი. დაჭრილი სამკურნალოში წაიყვანეს. ჭრილობა საშიში არ არის.

## ქალაქის საბჭო

3 მარტი.

თავმჯდომარე. 13 მარტს ტფილისში ჩამოვა კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი. ჩემის აზრით, საჭიროა ქალაქის გამგეობამ საბჭოს სამის ხმოსნის თანადასწრებით ქალაქის მოურავის ხელით პურ-მარილი მიართვას მისს ბრწყინვალებას და აგრეთვე საღამოს ქალაქი გავაჩირაღდნოთ.

ეს წინადადება საბჭომ ერთ-ხმად შეიწყნარა.

ამის შემდეგ საბჭო წარსულ კრების დროს დაუმთავრებელ საგნის განხილვას შეუდგა—სავაჭრო-სამეურნეო დაწესებულების წეს-რიგის შეცვლის შესახებ.

ამ საგნის შესახებ სჯა ბაასმა თითქმის შუაღამემდის გასტანა და დაბოლოს საბჭომ შემდეგი განაჩენი დაადგინა:

ა) სავაჭრო-სამეურნეო დაწესებულება ორ ნაწილად იქმნეს გაყოფილი: ერთი იმათგანი საზოგადოდ ვაჭრობის შესახებ დადგენილების შესრულებას და ქალაქის მეურნეობას უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს, ხოლო მეორე ქალაქის შემოსავალს უნდა აგროვებდეს;

ბ) ამ უკანასკნელ დაწესებულებაში 7 აგენტი იქმნება;

გ) თითო აგენტს წელიწადში 900 მან. ჯამაგირი დაენიშნება;

დ) აგენტებს უფროსი აგენტი არ ეყოლებათ; ამ უკანასკნელის მოვალეობა გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა უნდა იკისროს, რომ ამით გამგეობა უფრო დაუახლოვდეს ქალაქის ავ-კარგიანობას, რაიცა საქმის რიგიანად შესრულებას მომეტებულად ხელს შეუწყობს;

ე) საყასბოზედ 6 მებაჟე დაინიშნოს და თითოს იმათგანს წელიწადში 240 მან. მიეცეს;

ვ) 5 კაცი ურმების ბაჟის ამკრებად და თითოს წელიწადში 300 მან. ჯამაგირი მიეცეს;

ზ) 2—ხიდების მებაჟედ და თითოს 300 მან. ჯამაგირი მიეცეს;

ჱ) 3—ყაფნების მებაჟედ და თითოს წელიწადში 240 მან. ჯამაგირი დაენიშნოს;

თ) 2—სატივეების მებაჟედ და თითოს 300 მან. ჯამაგირი მიეცეს;

ი) 2—სათადარიგო მებაჟედ და თითოს წლიური ჯამაგირი 240 მან. მიეცეს.

და კ) 7 კაცი გასაგზავნ-გამოსაგზავნად და თითოს წლიური ჯამაგირი 240 მან. მიეცეს.

## სასამართლოს მატიანე

ნაფიც ვექილის ს. დ. სტაროსელსკის მკვლელის საქმე ბაქოში.

(შემდეგი *)

საბრალმდებელო ოქმის შემდეგ წაკითხულ იქმნა ჩვენება თვით ს. დ. სტაროსელსკისა: „ეტლიდგან რომ გადმოვდიოდი, ორმა კაცმა მესროლეს, ერთმა თოფი და მეორემ რევოლვერი. ორთავენი ახალგაზდა კაცები იყვნენ. ჩოხები ეცვათ. ეჭვი მაქვს ბალაბეგზე (ბაქოს ქალაქის გამგეობის წევრია) და მანაფზედ, რომელთა წინააღმდეგ საქმეს ვაწარმოებდი. მოლლამ მითხრა ერთხელ, შენი მოკვლა უნდათ და ფრთხილად იყავიო“.

იმავე ღამეს სტაროსელსკის წარუდგინეს ორი კაცი და მან სთქვა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ესენი იყვნენ დამნაშავენი, მაგრამ ჰგვანან კიო.

მოწმე კრესლერი. მე და სტაროსელსკიმ კლუბში ერთად ვივახშმეთ. იქიდგან შინ წავედი და დავიძინე. ცოტა ხნის შემდეგ გამაღვიძეს და დამიძახეს სტაროსელსკისთან. იქვე მოლლა იყო. სტაროსელსკიმ ჭრილობები მიჩვენა და მითხრა: „აი, აქ არის ჩემი სიკვდილიო“. იმ ღამესვე სტაროსელსკისთან მოიყვანეს ორი თათარი, მაგრამ ესენი-კი არ იყვნენ, ეხლა რომ ასამართლებენ.

მოწმე ბონდი. მე და სტაროსელსკი კარგი მეგობრები ვიყავით. სტაროსელსკის რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის, მოლლამ მითხრა, მოკვლას გიპირებენო. სტაროსელსკიმ ესეც დაუმატა, რომ ზაზრატის საქმის გამო მტრები მყავს, მათ შორის მანაფი ც მგონია, ბალაბეგოვიო. სტაროსელსკის მოკვლის ღამეს კლუბში ერთად ვიყავით. განსვენებული ამ საღამოს ცუდ გუნე-

*) იხ. „ივერია“ № 39,

---

ჩაიშალა მოულოდნელად ..

საღამო იყო. პატარა ბაღში, ხის ძირას სკამზედ ვიჯექი დაფიქრებული, უცფად შემომესმა ფეხის ხმა და დავინახე ის... აღელვება ეტყობა... ჩქარის ნაბიჯით მოდის და თან გაშლილს გაზეთს მოაფრიალებს.

— თამრო, თამრო! შეხე, შეხე, რა სასიამოვნო ამბავია, იძახოდა აღელვებით გიგო, და თან ხელში გაზეთს მაჩეჩებდა... ჯერ კიდევ არა ბნელოდა; როგორც იყო, გავარჩიე... მართლა და გაზეთი ერთს სასიამოვნო ამბავს იუწყებოდა... მეც გავმხიარულდი... გიგომ ხელი გამომართვა, მეც თავი მივანებე... აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი და მეც გამიტაცა, მომაჯადოვა... ჩემდა უნებურად წამოვდექი და გვერდში ამოუდექი...

— ღმერთო, ღმერთო, რა ბედნიერებაა, იძახოდა აღტაცებით მეათედ გიგო და თან ხელს მაგრად მიჭერდა... თამრო, წარმოიდგინე... ველარ დაათავა, სიხარულისაგან თითქმის ტირილი მოსდიოდა... აღელვებული ხელს ვუჭერდი... გიგომაც უფრო მაგრად მომიჭირა ხელი და უფრო ახლო მოდგა ჩემთან...სიტყვა ჩაუწყდა... ეტყობოდა თრთოლვა... იმისი სუნთქვა ჩემს სახეს ეფინებოდა,.. რაღაცა სასიამოვნო ჟრჟოლამ ელექტრონის ძალასავით გამირბინა მთელს სხეულში... გიგო შეთრთოლდა და...

— მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩამჩურჩულებდა და თან მიკოცნიდა ტუჩებს, ლოყებს, თმას... მე ჯერ გარინდებულსავით ვიყავი... მოულოდნელმა სიამოვნებამ გამაქვავა ერთს ადგილას უძრავად... მაგრამ შემდეგ მეც ავღელვდი, თავი ველარ შევიკავე; კისერზედ ხელები შემოვხვიე და მთლად დავემონე იმის ალერსსა.. თავზედ ხელს ვუსომდი, თვალებში ჩავცქეროდი და თან მის გახურებულს შუბლს ვეამბორებოდი... იგიც გიჟსავით მკოცნიდა, მარჩობდა... სუყველაფერი დამავიწყდა... ჩემს დღეში ამისთანა ტკბილი წუთები არ გამომიცდია..

— ჩემო ანგელოზო, ჩემო საუნჯევ, მთრთოლვარე ხმით მუსიკასავით ჩამჩურჩულებდა გიგლო.

—კარგი, კარგი, კმარა, გიგლო... ნუ... ნუ... და თუმცა ძვირად მიღირდა თავის შეკავება, მაგრამ მაინც გავუსხლტი ხელიდგან და დასუსტებული მივეყუდე ხეს... გიგო მომიახლოვდა...

— მიყვარხარ, მიყვარხარ... იძახოდა თავ-დავიწყებით გიგო და თან ხელებს მიკოცნიდა... ჩემი ხარ, ჩემი...

— გიგლო, გიგლო, კმარა... ვემუდარებოდი... მეშინოდა, ძალიან დავსუსტდი, მუხლები მეკეცებოდა... ოხ! ღმერთო რა წუთები იყო! ტუჩები მეწვოდა იმისის მხურვალე კოცნით... იმისი კულულები ცელქად ეთამაშებოდა ჩემს გახურებულს სახეს... გიგლომ მაგრად მიმიკრა გულზედ... გონება დავკარგე...

—

რამდენი ცრემლი დავაფრქვიე გამოთხოვების დროს! ბევრი ვიმაგრე თავი, ბევრი ცრემლი ჩავყლაპე და მხოლოდ როცა ჩემი ოთახი შევიკეტე მაშინ-კი...

მთელი დღე ბალიშში მქონდა წაყოფილი თავი და, მეც არ ვიცოდი რადა, ცრემლი თვალებიდგან არა მშორდებოდა... რადა ვტიროდი? ის ხომ პატიოსანია! აკი მითხრა, ჩემი ხარ, მე უშენოდ ერთს დღესაც ვერ ვიცოცხლებო! აკი მითხრა, შენ ჩემი მეგობარი უნდა იყო ცხოვრებაშიო, ერთად ვეწიოთ შრომის უღელს და გაჭირვების და უბედურების დროს შენ იყავი ჩემი მფარველი ანგელოზიო, გამამხნევე ხოლმეო!! მაშ რაღადა ვტიროდი, არ ვიცი... იქნება წინ გრძნობაა! არა, არა! როგორ შეიძლება... მე მინდა... არ იკადრებს მოტყუებას! იგი ნამდვილი ჭაბუკია, პატიოსანი, და მერე ვუყვარვარ კიდეც!.. რაღა მატირებდა! მაშ აქ ჩემთან ხომ არ დარჩებოდა, ასე ვებაასებოდი ჩემს თავს მთელი დღე... გულს ვიშოშმანებდი...

ერთი წელიწადი კიდევ უკლია! მომაგონდა ვითომ-და დასამშვიდებლად...

უჰ! ერთი წელიწადი, შემომკვნესა გულმა... მთელს საუკუნედ მეჩვენებოდა ერთი წელიწადი..., აკი ისიც სწუხდა, რომ მალე არ შეეძლო თავისად ვეწოდებინე... თითქო მისი არ ვიყავი!..

გული როგორღაც მქენჯნიდა, თითქოს იმის წასვლის შემდეგ სუყველაფერი დავკარგე, თითქო... არ ვიცი... არ ვიცი... მომავლისა მეშინოდა და ჩემს თავს ვამტყუნებდი, რომ გიგლოს პატიოსნებაში ვეჭვობდი... ოხ? როგორ მინდოდა ვისთვისმე გამეზიარებინა ჩემი ეჭვები და გამეგო მისგან დასამშვიდებელი სიტყვები! რა ბედნიერი ვიქნებოდი! მაგრამ არავინ იყო და მე ერთს უნდა ჩამეკლა გულში მტანჯველი ეჭვები... დეიდა ჩემმა და მამა ჩემმა არ იცოდნენ მე და გიგლოს დამოკიდებულება და დღესაც არ იციან... დედა არა მყავს,.. მამა ჩემი სამოცის წლისაა და თუმცა დაძაბუნებულია, მაინც ღამის სამ საათამდის ჰზის თავისს საწერს ოთახში და მუშაობს დაუღალავად, ახალს ისტორიულს გამოკვლევას ამზადებს!..

გიგლოც რომ დაბერდება, ხომ მამა ჩემსავით დაუღალავი იქნება... მაგრამ ის უფრო პატივში იქნება... ის უფრო ბევრს იშრომებს, მისი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება,—გიგლო ნიჭიერია-მეთქი... ვფიქრობდი, როცა მამა ჩემს უყურებდი.

ძალიან მიყვარს მამა ჩემი!... მინდოდა ყველაფერი მეამბნა მისთვის, მაგრამ ვერ გავბედე... მეშინოდა არ დამეღონებინა... მას სიმშვიდე ეჭირვებოდა... ყოველ დღე ოთახს ვუწმენდავდი, წიგნებს მწყობრად ვუწყობდი, მტვერს ვაშორებდი... მამა ჩემი ყოველთვის ალერსით მეპყრობოდა და მეპყრობა... მალ-მალე თავზედ ხელს გადამისვამს, ან შუბლზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზედ იყო და ამიტომ ადრე წავედით. უბედურების შემდეგ მივედი სტაროსელსკისთან და მითხრა: „აკი გეუბნებოდი, მომკლავენ მეთქი“-ო და კვლავ მკვლელებად მანაფი და ბალაბეგოვი დაასახელა.

სასამართლოში წაკითხულ იქმნა ბონდის ჩვენება გამომძიებელთან; ეს ჩვენება განსხვავდება სასამართლოში მიცემულ ჩვენებისაგან. ბონდი ამტკიცებს, რასაც ეხლა ვამბობ სულ მართალია და თუ გამომძიებელთან ეს არ მითქვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ ბაქოში მართალის თქმა საშიშია, გამომძიებელთან იმიტომ არა ვთქვი ეს, რომ მეშინოდა.

**ზოქაუელი მიანსაროვი.** დაჭრილ სტაროსელსკისთან რომ მივედი, მითხრა, ორმა თათარმა დამჭრაო, მე ვკითხე, ეჭვი ვისზედა გაქვს-მეთქი. იმან მიპასუხა: ორი მტერი მყავდა; „მანაფი და ბალაბეგოვი“. მეშადი მამედი იცნო იმ მეეტლემ, რომელმაც სტაროსელსკი სახლამდე მიიყვანა. მეშადი—ცნობილი ქურდია. არც ფათახი ჩამოუვარდება. ბაკიხანოვზედაც კარგი არაფერი ითქმის. განა თვით სასამართლომ არ იცის, რა ადვილია ბაქოში კაცის მოკვლა? ტყუილი მოწმე აქ ადვილად იშოვება. საკმარისია, ფლავი აჭამოთ ვისმეს და მოწმედ გამოგყვებათ. სტაროსელსკის საქმეში ყველა მოწმეებს ეშინოდათ სიმართლის თქმისა. ყველა ასე ჰფიქრობდა: „კარგია, თუ ბრალდებულნი გაამტყუნეს. და რომ გაამართლონ? გამოვლენ ციხიდგან და მოგვკლავენო“.

მიანსაროვმა ბოლოს სთქვა, სტაროსელსკის ეჭვი ჰქონდა მანაფზე, ქალაქის გამგეობის წევრზე ბალაბეგოვზე, სელიმხანოვზე, ჰონლაროვზე და ბაკიხანოვზეო.

ამით გათავდა მოწმების გამოკითხვა.

(შემდეგი იქნება)

—

ცოლის მკვლელის—ნიკოლოოზ ქადაგიშვილის საქმე.

4 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ნიკოლოოზ ქადაგიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავისის ცოლის მოკვლა.

საქმის გარემოებიდგან, რომელიც სასამართლოს მოხსენდა, სჩანს, რომ ნიკოლოოზ ქადაგიშვილს თავისი ცოლი ძალიან ჰყვარებია და ტკბილადაც სცხოვრობდნენ თურმე, მხოლოდ სიდედრი ჰყოლია საძაგელი და მეძავი ადამიანი, რომელიც თავის ქალსაც რყვნიდა თურმე. ქალი არ სთანხმდებოდა დედის რჩევას და თავისს ქმარსაც ატყობინებდა ამ ამბავსაო. სიძემ რამდენჯერმე დაითხოვა სიდედრი, მაგრამ ერთ დღეს ქადაგიშვილი დამთვრალა, აღელვებული მისულა თავის სახლში და დაწოლილა თავისს ცოლთან დასაძინებლად. მეორე დღეს უნახავთ, რომ ქადაგიშვილს ცოლი მოუკლავს და თითონაც მძიმედ დაჭრილია, მაგრამ სასიკვდილოთ-კი არა სჭირსრა.

ტფილისის ოლქის სასამართლომ ქადაგიშვილს გადაუწყვიტა ერთი წლით და ექვსის თვით პატიმართა რაზმში გაგზავნა, მაგრამ გარდაწყვეტილებას არ დაეთანხმა მბრალმდებელის ამხანაგი და საქმე პალატაში გადაიტანა.

სამოსამართლო პალატამ დაადგინა ნიკოლოოზ ქადაგიშვილს ცოლის მოკვლისათვის ჩამოერთვას ყოველივე ღირსება და საუკუნოდ იქმნას გაგზავნილი ციმბირში.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** კრიტის მომავალის ბედ-იღბლის მოწყობა ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა იდეს თავს. საბერძნეთს უბრძანეს,— შენი ჯარი და ფლოტი იქიდგან გაიყვანე, შენს ქერქში მოთავსდი, ისე რომ კრინტი არ დასძრა, თორემ ვაი შენი ბრალი—არა თუ მარტო კრიტის საქმეებს დაგავიწყებთ, თითონ შენს საკუთარს საბრძანებელსაც ალყას შემოვარტყამთ და ცუდს დღეს დაგაყენებთო. როგორც უკანასკნელად მიღებული გაზეთები გვაცნობებენ, ევროპის ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს კრიტის გენერალ-გუბერნატორის ადგილზედ კანდიდატიც-კი ჰყოლია სახეში. ამგვარ კანდიდატად ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოოზის შვილს დანიილს ასახელებენ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, საბერძნეთმა დიდ სახელმწიფოთა წინაშე ქედი არ მოიხარა და ასე უპასუხა, რომ თქვენ რაც გენებოსთ, ის ჰქმენით და ჩემი საქმისა მე უკეთ ვიციო. საბერძნეთის ასეთმა შეუპოვარმა პასუხმა მართლაც რომ დიდს განსაცდელში ჩააგდო ევროპის მშვიდობიანობის საქმე. როგორც დღე-დღეზედ მოსულ ამბებიდგანა სჩანს, თუმც ჯერ ოფიციალურად ომი არ არის გამოცხადებული, მაგრამ ბევრი აღარა აკლია-რა. ამ რიგად თვით დიდთა სახელმწიფოთა საქციელმა, რომელსაც სახეში, შეიძლება, მხოლოდ ისა ჰქონდა, რომ რამდენისამე ხნით მაინც არის ევროპის მყუდროება დაეცვა,— ისე გაამწვავა საქმე, რომ ყოველ საათში ომის გამოცხადების მოლოდინში ვართ. დიდნი სახელმწიფონი ელინთა საერთო სურვილს წინ რომ არ აღსდგომოდნენ, კრიტის საბერძნეთთან შეერთებისათვის რომ ხელი არ შეეშალათ, მშვიდობიანობა სწორედ მაშინ იქმნებოდა დაცული, დროებით მაინც; დღეს-კი სულ სხვასა ვხედავთ.

როგორც გუშინდელმა დეპეშამ ამბავი მოიტანა, დიდ სახელმწიფოთ კრიტის წყლებში მყოფ თავიანთი ადმირალებისთვის ბრძანება გადაეცათ, ნიათ,—კრიტისა და საბერძნეთის ნავთ-სადგურებს ალყა შემოარტყითო. ხოლო ადმირალებს მთავრობათათვის უცნობებიათ, რომ ჯარისკაცნი მოგვაშველეთ, თუ გინდათ რომ რასმეს გავხდეთო. გაზეთები დაბეჯითებით ამბობდნენ, რომ თუ დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთი არ დაიშალეს და საბერძნეთს ალყა შემოარტყეს, საბერძნეთი იძულებული იქმნება არც კრიტს დაანებოს თავი და ოსმალეთსაც ომი გამოუცხადოსო. აი სწორედ ახლა დადგა ის ჟამი და ოსმალეთი, საბერძნეთი და მთელი ევროპა გულის ფანცქალით მოელიან საზარელს წუთს და ყველანი დიდს ფაცი-ფუცში არიან.

ამ რამდენისამე დღის წინად საბერძნეთის მთავრობამ რუსეთში მყოფ ყველა თავისს ქვეშევრდომთ, რომელთაც წლოვანება ჯარში გასვლის ნებას აძლევს, უკვე მოუწოდა და ეს მოწოდება იმათ დიდის აღტაცებით მიიღეს. გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამ გვარივე ბრძანება საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრს სკუზესს ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ ბერძენთათვისაც გაუგზავნია და იქაც დიდის აღტაცებით მიჰგებებიან ბ-ნ მინისტრის ბრძანებას და გამოუთქმელის სისწრაფით შესდგომიან იმისს შესრულებას. რაღა თქმა უნდა, შიგ საბერძნეთში მყოფი სათადარიგო ჯარის-კაცნიც მიუწვევია მთავრობას. როგორც დარწმუნებით ამბობენ, საბერძნეთს 170,000 ქვეითა და ცხენოსანი ჯარის-კაცი ჰყავს მზად და კარგა ძლიერი არტილერია, რომელთაგან 4,000 კაცი კრიტის კუნძულზეა, 6,000 შიგ საბერძნეთის სხვა-და-სხვა ადგილებში და დანარჩენი ოსმალეთის საზღვრებზეა გაგზავნილი.

ოსმალეთის მთავრობას 17,000 ჯარის-კაცი გაუგზავნია საბერძნეთის საზღვრებზე, 340 აფიცერი, 3,200 ცხენი და 100 ვაგონი სამხედრო მასალა; ამასთანავე საომრად დაუყენებია ფეხზედ 1 და მე-4 არმიის კორპუსის 120 ბატალიონი რედიფი და მე-3 არმიის კორპუსის 65 ბატალიონი ნიზამი, გარდა ამისა კონსტანტინეპოლსა და მომავალ ბრძოლის ველს შუა გასაბმელად ოსმალეთის მთავრობას 80,000 კილოგრამა სადეპეშო მავთული შეუკვეთია სიმენსისა და გალსკეს ფირმისათვის. კონსტანტინეპოლში ომის მოლოდინისა გამო შიშის ზარი ტრიალებს თურმე. იქ ხმაც გავრცელებულა, რომ საზღვრებზე ოსმალები და ბერძნები ერთმანეთს შეეტაკნენ და სისხლი დაიღვარაო და ამ ამბავმა კიდევ უფრო შეაშინა თურმე ხალხი. არხიპელაგის გენერალ-გუბერნატორს ოსმალეთის მთავრობისათვის უცნობებია, რომ აქაურს მკვიდრთ თანდათან მეტი მღელვარება ეტყობათ და ამიტომ რამდენიმე სამხედრო გემი გამოგზავნეთო. მთავრობას მეტი ვერ მოუხერხებია და მარტო ერთი გემი გაუგზავნია ლემნოსში.

აი ასეთს მდგომარეობაშია დღეს ეგრედ წოდებული აღმოსავლეთის საქმე და ვნახოთ რა შედეგი მოჰყვება.

ამასთანავე საგულისხმოა პოლკოვნიკის ვასოსის მოქმედება კუნძულს კრიტზედ. ერთის გაზეთის კორესპონდენტი გულდაგულ წასულა ვასოსის სანახავად ალიკიპში. კორესპონდენტს ვასოსსთან კანეიაში საბერძნეთის კონსულად ყოფილი და აწ მეფის კომისარი გენადისი და სხვა აფიცრებიც უნახავს. კორესპონდენტი ამბობს, რომ საბერძნეთის აფიცრები კრიტს ისე უყურებენ, როგორც საბერძნეთის სამფლობელოსაო. კორესპონდენტისთვის ვასოსს უთქვამს: მე დავალებული მქონდა ხონთქრის მბრძანებლობა, მართველობა და მხედრობა მომესპო კრიტში და ეს თითქმის კიდეც შევასრულეო. გარდა იმ ადგილებისა, სადაც დიდ სახელმწიფოთა ჯარის-კაცნი სდგანან, მე თითქმის მთელი კუნძული დავიპყარ და ყველგან გუბერნატორები, ქალაქის მმართველები და მოსამართლენი დავნიშნეო. ესენი საქმეებს მეფე გიორგის სახელით განაგებენო. საბერძნეთის აფიცრები იმ აზრს ადგანან თურმე, რომ თუ მთავრობამ კრიტიდგან გასვლის ბრძანება მოგვ- [illegible] კრიტის განთავისუფლების საქმეს გულ-მოდგინედ შევუდგებითო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ერთმა ამბავმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა. მკითხველს, უეჭველია, ეხსომება, ექიმმა კოხმა რომ საჯაროდ გამოაცხადა, ჭლექის წამალი გამოვიგონეო. ჭლექიანებმა ათიათასობით მიაშურეს გერმანიას. მდიდარი

---

მაკოცებს ხოლმე...

—

გიგლოსაგან წერილი მივიღე... მწერდა გრძნობით... ძალიან მესიამოვნა და პასუხიც ჩქარა მივსწერე... მთელის წლის განმავლობაში წერილები მომდიოდა და მეც პასუხს არ ვუგვიანებდი... გული თანდათან მიმშვიდდებოდა, გავიდა იანვარი... მაისი და აი ზაფხულიც მოახლოვდა... გიგო უნდა მოსულიყო... მოუთმენლად ველოდი, მთელი დღე გზისკენ გავიყურებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი მაშინვე ჩემკენ გამოქანდებოდა... ერთს დილას წერილი მივიღე... „ცოტა დავიგვიანებო, მწერდა ის, იქნება მკათათვის ბოლო რიცხვებში ჩამოვიდეო. საქმე მაქვს,—ამხანაგთან მივდივარო“... ჯერ გავრინდდი, ვერაფერს ვგრძნობდი, გონება დამიჩლუნგდა!... უცბად გულზე რაღაცა ტკივილმა გადამიარა და თვალებიდგან ორი დიდი კურცხალი გადმომვარდა... ცრემლებმა ლაწვები ამომწო... ხელი მოვისვი თვალებზე და თითქო ამას ელოდებოდნენ, ცრემლი ცრემლს მოჰყვა, ყელში ლოდივით რაღაც მომაწვა, თავ-ბრუ დამეხვია...

— რად იგვიანებს? რატომ პირდაპირ აქ არ წამოვიდა? ღმერთო, ღმერთო, ვიძახოდი და ჯავრისაგან ხელებს ვიმტვრევდი...

— აღარ ვუყვარვარ! გამიელვა ამ აზრმა თავში... ოხ! რა საშინელი ტკივილი ვიგრძენ...

— აღარ ვუყვარვარ! აღარ ვუყვარვარ, ვიმეორებდი მალ-მალე და სიბრაზისაგან გული ყელში მაწვებოდა...

იქნება მართლა საქმე აქვს? რა ვუყოთ, რომ იგვიანებს! საცა აქამდის მოვიცადე, უნდა კიდევ მოვიცადო! რა არის ახლა! ვაშოშმინებდი ჩემს თავს, მაგრამ გრძნობა-კი სულ სხვანაირად სჯიდა... მთელი ორი თვე ამ ტანჯვა წვალებაში ვიყავი... მკათათვეც ნელ-ნელა მიიზლაზნებოდა. სწორედ ერთს საუკუნედ გარდაიქცა ორი თვე... გიგოს სუყველაფერი ვაპატიე... ჩემს თავსვე ვკიცხავდი, რომ ტყუილად ვუსაყვედურებდი-მეთქი დაგვიანებას!.. ალბად საჭირო საქმე ჰქონდა... საქმეს ხომ არ გაიფუჭებდა!.. ვამართლებდი გიგოს...

—

დღეს მოვა!.. დილიდგან საღამომდის ერთს ალაგას ვეღარ მოვისვენე, ოთახში დავრბოდი, ვალაგებდი, ვბღერტავდი, ყვავილებიც ვიშოვე და წყალში ჩავდგი... სარკეში მალ-მალე ვიყურებოდი... მეგონა, ფერიც დამკარგოდა, სილამაზეც, სიცოცხლეც,—ერთი სიტყვით სუყველაფერი ის, რასაც აღტაცებაში მოჰყავდა გიგო... აი დღრმეტი საათი შესრულდა... შორიდგან დავინახე თავჩაღუნული მოდიოდა, სტუდენტური ტანისამოსი აღარ ეცვა... ეხლა-კი ნამდვილი წევრია საზოგადოებისა-მეთქი, გავიფიქრე... ვეღარ მოვითმინე, კარები გავუღე და კისერზედ ჩამოვეკიდე...

— გიგლო, გიგლო, ვიძახოდი გიჟსავით და გულზედ ვეკიდებოდი.

— თამრო, თამრო, არავინ დაგვინახოს... სთქვა და ხელით უკან დამაყენა.

მე გაქვავებულსავით დავრჩი... ოთახში შევედით... დეიდაჩემი შინ არ იყო... მამაჩემი თავის საწერ ოთახში იყო...

— გიგლო, გიგლო, ვიმეორებდი და თან თვალებში ჩავსცქეროდი... იმანაც მომხვია ხელები...

— ოხ! რა მეუცხოვა იმისი ალერსი! ეს ის არ არის... არა, არა... მაშინ როგორ მხურვალედ მკოცნიდა... ეხლა თითქოს იმიტომ მაკოცა, რომ არ მაწყენინოს, თითქო ჩემი კოცნა არც-კი ესიამოვნებოდა... რომ ვერც ლაპარაკი ხერხდება!.. ვეღარ მოვითმინე...

— გიგლო, გიყვარვარ! შევეკითხე მე აღელვებით.

— თამრო, თამრო, რა ბავშვი ხარ! მიყვარხარ მაშ! და თან ხელი წელზედ მომხვია...

— არა, ის არ არის, არა!.. ვჩურჩულებდი ჩემთვის... გულმა შფოთვა დამიწყო... ის აგეთი ცივი როდი იყო... გონება მერეოდა...

— გიყვარვარ-მეთქი, შევეკითხე კვლავ და შევაშტერდი თვალებში...

— თქვენები შინ არიანო, მიპასუხა და წამოდგომა დააპირა...

— გიგლო, რატომ პასუხს არ მაძლევ!..

— მიყვარხარ, მიყვარხარ, თამრო, ძლივს წარმოსთქვა გიგლომ.

— ახ! გიგლო, გიგლო, ნუ მაშინებ, კიდევ მითხარ, რომ გიყვარვარ... კიდევ... კიდევ... ჩავსჩურჩულებდი გიგლას...

ერთი კვირა იყო გიგლო თ—ში თავის დედასთან და არ ვიცი ამ ერთს კვირაში სიამოვნება ბევრი გამოვცადე თუ ტანჯვა... ერთის კვირის შემდეგ გიგლო ქალაქში წავიდა ალაგის სათხოვნელად...

მითხრა, ალაგს ვიშოვნი, მოვალ, მამაშენს მოგელაპარაკები და ჯვარიც დავიწეროთო... მეც დავთანხმდი... უცრემლოდ! გიგო წავიდა... ორჯელ მომივიდა წერილი და... მერე ყოველ დღეს ველოდი... დამშვიდებული!..

ხუთი წელიწადი გავიდა მას აქეთ... მე ეხლა აზრადაც აღარ მომდის გათხოვება... მამა-ჩემისთვის საჭირო ვარ... გიგომ თავის ამხანაგის და შეირთო, მდიდარი... იმისის წყალობითვე გამომძიებლის ადგილი იშოვნა... სხვებს აღარც-კი ახსოვთ გიგო... დღეს გაზეთში წავიკითხე გიგოსთვის „ნადვორნი სოვეტნიკობა“ მიუციათ!.. მე-კი სრულიად დამშვიდებული ვარ, მხოლოდ ხან-და-ხან წარსულის მოგონებაზედ გული ამიშფოთდება ხოლმე და ვატყობ ჩემს თავს, რომ ვწითლდები... „მრცხვენიან, რომ მოვტყუვდი“!..

ვლ. მცხეთელი.

და ღარიბი უკანასკნელს გროშს არა ზოგავდა კოხთან წასასვლელად. ან რომელი ავადმყოფი დაიშურებდა ფულს, თუ-კი ამ ულმობელის სენისაგან მორჩენა შესაძლებელი იქნებოდა. საუბედუროდ, ჭლექით ავადმყოფთა იმედი არ გამართლდა. კოხის წამალი ვერაფრად გამოდგა ჭლექის წინაალმდეგ. ამ ამბავმა ექიმებს მაინც იმედი არ დაუკარგა ჭლექის წინაალმდეგ წამლის მოგონებისა. ეხლა ამბობენ, რომ ერთს სახელ-განთქმულს ექიმს, გვარად ნიმანს, აღმოუჩენია ისეთი წამალი, რომელიც ჭლექიანს არჩენს თურმე. ექიმს კიდევაც უცდია ეს წამალი და რამდენიმე ჭლექიანი მოურჩენია. ნიმანის მიერ გამოგონილი წამალი—შედედებული სისხლია, რომელშიაც ეს ექიმი რამდენსამე თვის განმავლობაში ურევს ჭლექის ბაცილებსა და ახლად გამოგონილს წამალს—ტოქსინს. თუ ეს წამალიც ისეთი არ გამოდგა, როგორიც კოხმა მოიგონა, სწორედ რომ დიდი ღვთის წყალობა იქმნება ჭლექით დასნეულებულ ავადმყოფთათვის, რომელთაც აქამდე სიკვდილის მეტი ვერაფერი იხსნიდა ამ შეუბრალებელის სენისაგან.

***

სწორედ რომ საკვირველია განათლებულ კაცობრიობის საქმე. ერთი მთელს თავისს ძალ-ღონესა და სიცოცხლეს იმას ალევს, დასნეულებულსა, დავრდომილს და გაჭირვებულს კაცს წამალი რამ დავდო, ტანჯვა შევუმსუბუქო და როგორმე დავეხმაროვო. მეორე-კი ჰფიქრობს, როგორ დავტანჯო ადამიანი და რა სასტიკი სასჯელი გამოვიგონოვო. რამდენად მკაცრადა და შეუბრალებლად იქცევა ხანდახან განათლებული ევროპა, შემდეგი ამბავი გვიმტკიცებს. ზანზიბარში ამას წინად გაგზავნილი იყო იტალიიდგან ექსპედიცია ჩეკკის მეთაურობით. იქაური გაუნათლებელი და რეგვენი ხალხი ვერაფრად დაუხვდა ამ ექსპედიციას და თვით ჩეკკი და მისი მხლებელნი ყველანი დახოცეს. რა თქმა უნდა, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ მკვლელნი დაესაჯათ, მაგრამ განათლებულნი იტალიელნი სისასტიკითა და შეუბრალებლობით არ ჩამოუვარდნენ ზანზიბარის [illegible] ზედ ეჭვი მიიტანეს, ჩეკკის ექსპედიციის დახოცვაში ამასაც წილი უდევსო, ჯერ ხელ-ფეხი მოჰკვეთეს და მერე ლომებს გადუგდეს შესაჭმელად. განა საკვირველი იქნება ამის შემდეგ, ზანზიბარის გაუნათლებელმა ხალხმა რომ თავის მხრივ ევროპიელი კაცი არ დაინდოს და, როცა-კი შემთხვევა ექმნება, სამაგიერო გადაუხადოს!

***

ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ პარიზში დიდძალი უცხოელი სცხოვრობს. 1896 წელს მცხოვრებთა აღწერის დროს აღმოჩნდა, რომ ამ ქალაქში 54,773 გერმანელი ყოფილა, 57,662 იტალიელი, 78,693 ბელგიელი, 21,328 ინგლისელი, 14,487 რუსი, 5,673 ესპანიელი, 2224 ოსმალელი და სხვ. გარდა ამისა პარიზში ადამიანი თითქმის ყველა ქვეყნის კაცს შეხვდება. აქა სცხოვრობენ აფრიკელნი, დაგომელნი, სპარსელნი, ნუბიელნი, ეგვიპტელნი და სხვ.

ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ პარიზში 102,455 გერმანელი და იტალიელი ყოფილა. საფრანგეთის ერთი გაზეთი ამბობს, რადგანაც საფრანგეთში მყოფი ყველა გერმანელი უეჭველად ჯაშუში უნდა იყოს, ადვილად მიხვდებით, რა დიდი რაზმი ჰყოლია ჯაშუშებისა გერმანიას მარტო პარიზშიო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი

**პეტერბურგი.** კავკასიის მთავარ-მართებელს, ინფანტერიის გენერალს თავ. გოლიცინს უმაღლესის ბრძანებით გენერალ-ადიუტანტობა ებოძა.

საზოგადოებაში გავრცელებულის ხმებისა გამო, რომ ვითომ ბუხარასა და იმის ახლო-მახლო ადგილებში შავის ჭირის მსგავსის სენით ხალხი ავად გამხდარიყოს, უმაღლესად დაარსებულის კამისიის თავმჯდომარე, რომელმაც რუსეთში შავის ჭარის შემოტანისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი ღონისძიებანი უნდა იხმაროს, საჭიროდ ჰრაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ როგორც განსაკუთრებით ამ ამბის ალაგობრივ შესატყობად გაგზავნილის ექიმების ცნობებიდგანა ჰსჩანს, იმ ადგილებში არც ერთი შემთხვევა არა ყოფილა, რომ ვინმე შავის ჭირით ავად გამხდარიყოს; აგრეთვე არც კულიაბის საბეგოს სოფელს ბიშკონაში შეუმჩნევიათ, ისეთი ავადმყოფობა, რომ გადამდები იყოს. როგორც ახალის სამეცნიერო წესით გამოკვლევამ აღმოაჩინა, ამ ხმების გავრცელების მიზეზი ის ყოფილა, რომ თითო-ორიოდე კაცი უნახავთ ციმბირის ჭირით, სიფილისით, ქოთაოთი, ციებით და სხვა სენით შეპყრობილი; ამასთანავე ადგილობრივი მკვიდრნი დიდის სიამოვნებით იდიოდნენ ექიმებთან საექიმოდ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ტრიბუნები ავსებით სავსეა. სადიპლომატიო ლოჟაც სავსეა. თავისი სიტყვა გობლემ იმითი დაიწყო რომ სასურველია სჯა-ბაასი დავიწყოთ პირველად აღძრულ საკითხის შესახებ, რადგანაც პალატა მაშინ ხელ-შეკრული არ იყო იმ მოვალეობანით, რომელიც ეხლა იკისრა მთავრობამაო. რადგან მთავრობა იძულებულ იქმნა პირობით დასთანხმებულიყო საძალ-მომრეო საშუალებათა ხმარებას, მე ვერ მოუწონებ ასით ღონისძიებათაო. ჰანოტომ წაიკითხა დეკლარაცია, გაახსენა რა რომ 10 თებერვალს პალატამ დაამტკიცა პოლიტიკა მთავრობისა, მიმართული მშვიდობიანობის დასაცველად ევროპის კონცერტისა და კრიტში თვით-მმართველობის შემოღების შემწეობით, მინისტრმა განაცხადა, რომ დღეს მთავრობა იმავე პოლიტიკის დამტკიცებასა თხოულობსო. ჰანოტომ განაგრძო: „საბერძნეთის თანხმობა, რომ ფლოტას გავიხმობო, და ევროპის დაპირება, კრიტს თვით-მმართველობას მოგანიჭებთო, ახაივებს და ამარტივებს საქმეს. ეხლა მხოლოდ საკითხი ის არის, უნდა განშორებულ იქმნას ვასოსსის ჯარი თუ არა. დიდნი სახელმწიფონი ერთ-ხმად არიან იმ აზრისანი, რომ ჯარების კვლავ დარჩენა კრიტის წყლებში ხელს უშლის საქმეთა ვითარების განკარგებასაო და ამიტომ თხოულობენ იმისს იქიდგან მოშორებას“. შემდეგ ჰანოტომ განაცხადა, რომ პარლამენტს მინიჭებული აქვს სრული თავისუფლება მოქმედებისა, ხოლო დიდთა სახელმწიფოთა მორიგება შეეხება შეეხება შემდეგს საგნებს: თვით-მმართველობა იქმნას დაარსებული კრიტისა სულთანის უზენაესის მფარველობით; გაყვანილ იქმნას იქიდგან საბერძნეთისა და ოსმალეთის ჯარები, იმათ გარდა, რომელნიც თავმოყრილნი არიან დიდთა სახელმწიფოთა მიერ დაჭერილს რამდენსამე ადგილას. წესიერების დასაცველად თითოეულმა დიდმა სახელმწიფომ 500 ან 600 კაცი მიუმატოს წინად გასულს ჯარს; თუ საბერძნეთი კუნძულზედ თავის ჯარის დატოვებას დაიჟინებს, კრიტს სასტიკი ალყა შემოერტყან და, თუ საჭიროება მოითხოვს, ადმირალებმა ნამდვილი ალყა შემოარტყას საბერძნეთს ან უიმის რამდენსამე ადგილს ხმელეთის მხრივ. ჰანოტომ ამას დასძინა: „ეს არის დიდთა სახელმწიფოთა გარდაწყვეტილება, რომლის შესახებ პარლამენტმა თავისი აზრი უნდა გამოსთქვასო. ევროპის კონცერტი ერთად ერთი სამსჯავროა რომლის ძლიერებისა წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროს, და ამიტომ ჩვენ დიდის იმედით მოველით, რომ პალატა მხარს მისცემს დაწყებულის საქმის დაბოლოვებასო“ (შეუგულდასიანი და მემარჯვენენი ტაშსა სცემენ. უმწვერვილესნი მემარცხენენი დრტვინავენ). ამის პასუხი უთხრა მილიერანმა. მელინმა სთქვა, რომ მთავრობის პოლიტიკა ერთად-ერთი შესაძლებელი პოლიტიკააო. ჩვენ მხედველობაში უმაღლესი ინტერესები უნდა გვქონდეს. თანაუგრძნობთ საბერძნეთს, მაგრამ საფრანგეთი უფრო გვიყვარს. გამოცდილებამ გვასწავლა, რა ძვირადაც გვიჯდება სულგრძელობა. ოტომანიის იმპერიის ერთიანობა ყოვლად საჭიროა. ამისათვის ევროპა უარს არის და არ უნდა საბერძნეთთან შეერთებულად აღიაროს კრიტი, რომელსაც მისთვის სასურველი თავისუფლება ენიჭებაო. მელინმა განაგრძო: „საფრანგეთი რუსეთს-კი არ დასთრევს არამედ მუდამ იმასთან თანხმობით ჰმოქმედებს, გობლე-მილიერანის პოლიტიკას რომ დავადგეთ, იგი საფრანგეთს [illegible] კონცერტიდგან გამორიცხავს და ეს გაამწვავებს და გაართულებს ჩვენს მდგომარეობს, რომლის პასუხის მგებელნიც ჩვენა ვართო“. პალატამ 356 ხმით 143-ის წინააღმდეგ დაადგინა მორიგ საქმეების განხილვას შევუდგეთო, ხოლო მთავრობის დეკლარაცია მოწონებულ იქმნასო.

**პარიზი.** პალატა ჟორესმა სთქვა: „ჩვენ საფრანგეთის პოლიტიკოსნი ვართ, რუსეთის პოლიტიკას რომ ვსდიოთ, ეს ხომ ის იქნება, რომ ავსცდეთ იმ გზას, რომელსაც გვიჩვენებს საფრანგეთის თვალთა ხედვის ისარი და ჩვენის ქვეყნის სარგებლობაო. პალატას ატყუებენ იმითი, რომ მურავიოვი ფრანგთა სიყვარულით არის განმსჭვალულიო“. ჰანოტომ და მელინი მხნედ წინ აღუდგნენ ამ სიტყვას. ბრისსონმა მკაცრად უთხრა ჟორესს, წესიერებას ნუ არღვევთო. ჟორესმა კრიტის შესახებ უფრო ნაკლებად ილაპარაკა, ვიდრე საზოგადო პოლიტიკის შესახებ. იგი ათასს წუნსა სდებდა ევროპის კონცერტს და იმ აზრისა იყო, რომ ეს კონცერტი საკეთილოა მხოლოდ იმ ფრანგთა საფინანსო ინტერესებისათვის, რომელთაც ოსმალეთის ფასიანი ქაღალდები აქვთო. ჰანოტო დიდის შეურაცხებითა და სამდურავით წინ აღუდგა ამ სიტყვებს, ხოლო ჟორესმა განაგრძო: „როდესაც აქ რუსეთის პატივ-საცემლად დღესასწაული გვქონდა გამართული, მაშინ ლაპარაკი იყო მხოლოდ უცხო ქვეყნის ფასიან ქაღალდების პატრონთა უზრუნველყოფის შესახებაო“. მელინმა კვლავ წინაღმდეგობა განაცხადა. ჟორესმა წაიკითხა ზოგიერთი ადგილები Journal de St.-Pétersbourg-დგან თავისის იმ აზრის დასასაბუთებლად, რუსებს, უმთავრესად, თავისის საერო ინტერესების ზრუნვა აქვთო. ის დიპლომატი, რომლის სიტყვებსაც აქ ვკითხულობო,—განაგრძო მან: ევროპის საქმეს წმინდა რუსულის თვალთა ხედვის ისარითა და შორსმჭვრეტელობით ჰსინჯავს ჩვენი მთავრობა-კი ამავე საქმეს საფრანგეთის სარგებლობის მხრივ არ ადევნებს თვალსაო“. მელინი და ჰანოტო კვლავ წინააღმდეგობას აცხადებენ. პალატა დრტვინავს, ამის გამო ხმაურობაა, რომლის დროსაც პრეზიდენტმა ორჯელ მიჰმართა ჟორესს, წესიერებას ნუ არღვევთო, და გაჰკიცხა მისი სიტყვები. ჟორესმა თავისი სიტყვა ხმაურობაში დააბოლოვა. საერთო კამათი ამითი დამთავრდა. რამდენიმე წინადადება იქმნა შეტანილი იმის შესახებ, რომ როგორ გადავიდეთ სხვა საგნების განხილვაზედაო. პალატამ 387 ამით 173 წინააღმდეგ უარ-ჰყო გობლეს წინადადება, რომელშიაც ნათქვამი იყო: „პალატა, გარდაწყვეტით აქვს რა განზრახული, რომ საფრანგეთის ყოველი მოქმედება გამოწვეული იყოს იმ პოლიტიკის გამო, რომელიც შეეფერება იმის არსებითს ინტერესებსა და იმისს წარსულსაო, განაგრძობს სხვა საქმეთა“ და სხვ. შემდეგ შეწყნარებულ იქმნა უკვე ნაუწყები წინადადება. რომლითაც პალატამ მთავრობას ნდობა კ გამოაცხადა.

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ ყველა ადმირალს მოუვიდა ბრძანება თავისის მთავრობისაგან, კრიტის ალყის თუ კრიტის ამბავი გამოუცხადეთო. აქ იმ აზრისანი არიან, რომ საბერძნეთის ნავთ-სადგურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შემოარტყმენ ალყას, ბუგრატის ალყის შემორტყმა საკმარისად არ იცნესო. საბერძნეთის ფლოტი უეჭველად უნდა განშორდეს კრიტს, წინააღმდეგ შემთხვევაში გარს შემოერტყმიან და ასე შეპყრობილს ძალათი მოაშორებენ ამ ადგილებსაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ახალის მკითხველის“ სარედაქციო კომისიამ გადასცა დასასტამბავად დ. კუდრიავსკის ცნობილი წიგნი: „როგორ სცხოვრობდნენ ადამიანები ძველად?“ რედაქციას მზადა აქვს აგრეთვე დასაბეჭდათ შემდეგი წიგნები: 1) „შრომა და კაპიტალი“—სვიდერსკისა; 2) „ისტორია საფრანგეთის დიდის რევოლიუციისა“—ი. კარნოსი; 3) „როგორ წარმოსდგა ოჯახი და საკუთრება“?—კ. კაუცკისა; 4) „ოჯახის და საკუთრების წარმოდგომა და განვითარება“—თხუთმეტი ლექცია მ. კავალევსკისა და სხვ. რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ქართველ მწერლებს მიაწოდონ თავიანთის კალმის ნაწარმოები, როგორც სამეცნიერო, ისე პოეტური და ბელლეტრისტული თხზულებანი (ნათარგმნი და ორგინალური). სარედაქციო კომისია ამ მოკლე ხანში გამოაცხადებს მთარგმნელთა საყურადღებოდ უცხო ენაზედ დასტამბულ წიგნების სიას, ისეთი წიგნებისას, რომელთა გამოცემას იკისრებს თვით ამხანაგობა. ორგინალურ თხზულებათა ავტორებს, თუ თხზულება ორს დასტამბულს თაბახს (64 გვერდს) არ აღემატება, გონორარად მიეცემა სტრიქონში თითო კაპეიკი, თუ ორ თაბახზედ მეტი გამოვიდა,—ნახევარი კაპეიკი. თარგმანში, თუ იგი ერთს ბეჭდურ თაბახს არ აღემატება, ავტორს მიეცემა სტრიქონში თითო კაპეიკი, ხოლო, თუ ერთს თაბახზედ მეტი გამოვიდა,—ნახევარი კაპ. მთარგმნელებს შეუძლიანთ წიგნი მოითხოვონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. графск. ул. № 5, „Новый читатель“, Ивану Павловичу Ростомашвили.

ივანე როსტომაშვილი.


# განცხადებანი

ოთხშაბათს, 5 მარტიდგან იწყებს თავისს მოქმედებას

**ალებ-მიცემა შუამავალი,**

სადაც მყიდველს შეეძლება შეიძინოს პირიანად საუკეთესო გასტრონომიული და საბაკალეო საქონელი და აგრეთვე ყოველგვარი სასმელები, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთისა. მაღაზიაში დაცულ იქმნება მკაცრად ზრდილობა და სისუფთავე.

ადრესი: ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონისა, № 6/1.

(3—83—1)

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . . 2 მ. კ.

აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . . . 3 „ „

აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . . . 60 კ.—80 კ.

წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაკერინოს, შეუძლიან მიჰმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპიორის ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას.

**პატენტ-ბოძებული თვით მომქმედი მანქანა „სიფონია“ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ** უფრო ძარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება **დრო და მასალა**



ისყიდება: **ივანე კულიჯანოვის** მაღაზიაში ქ. **თელავს.**

**ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.**

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, **ტფილის, მიხეილის ქუჩაზედ № 117.**

20—6.—1


Дозволено цензурою, Тифлисъ 4-го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.